



Art in Embassies Exhibition
United States Embassy Tbilisi

James Young *Yesterday's Dream*, 2015
Oil on canvas, 25 x 31 in. Courtesy of the artist, Granville, Ohio

ჯეიმს იანგი *გუშინდელი ოცნება*, 2015 წ.
ზეთი, ტილო, 63,5 x 78,7 სმ. ავტორის საკუთრება, გრენვილი, ოჰაიო

Art in Embassies



Established in 1963, the U.S. Department of State's office of Art in Embassies (AIE) plays a vital role in our nation's public diplomacy through a culturally expansive mission, creating temporary and permanent exhibitions, artist programming, and publications. The Museum of Modern Art first envisioned this global visual arts program a decade earlier. In the early 1960s, President John F. Kennedy formalized it, naming the program's first director. Now with over 200 venues, AIE curates temporary and permanent exhibitions for the

representational spaces of all U.S. chanceries, consulates, and embassy residences worldwide, selecting and commissioning contemporary art from the U.S. and the host countries. These exhibitions provide international audiences with a sense of the quality, scope, and diversity of both countries' art and culture, establishing AIE's presence in more countries than any other U.S. foundation or arts organization.

<http://art.state.gov>

ხელოვნება საელჩოებში



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 1963 წელს დაარსებული „ხელოვნება საელჩოებში“ ოფისი სასიცოცხლო როლს ასრულებს ჩვენი სახელმწიფოს სახალხო დიპლომატიაში კულტურის გაცნობის მისიის შესრულებით, დროებითი და მუდმივი ექსპოზიციებით, მხატვართა პროგრამებითა და გამოცემებით. „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა“ სახვითი ხელოვნების ეს გლობალური პროგრამა ათწლეულით ადრე წარმოადგინა. 1960-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ იგი ოფიციალურად დააფუძნა და პროგრამის პირველი დირექტორი დაასახელა. დღეს, 200-მეტი ექსპოზიციით, პროგრამა „ხელოვნება საელჩოებში“ კურატორობას უწევს

დროებით და მუდმივ გამოფენებს აშშ-ის ყველა საელჩოში, საკონსულოსა და რეზიდენციაში მსოფლიო მასშტაბით, არჩევს და უკვეთს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს აშშ-სა და მასპინძელ ქვეყნებში. ეს გამოფენები საერთაშორისო აუდიტორიას ორი ქვეყნის ხელოვნებისა და კულტურის ხარისხის, თვალთახედვისა და მრავალფეროვნების შეგრძნებას აძლევს და „ხელოვნება საელჩოებში“ პროგრამის წარმომადგენლობას ამკვიდრებს უფრო მეტ ქვეყანაში, ვიდრე რომელიმე სხვა ამერიკულ ფონდსა თუ ხელოვნების ორგანიზაციას აქვს.

<http://art.state.gov>

The Heart of America

We chose this series of paintings, photographs, and quilts to showcase American culture, art, and values. I wanted to convey what America means to me, and the values that make up the foundation of my family. I'm from Chicago, and in traveling around the Midwest I realized how beautiful this part of the country is, and that many people know little about it.

My wife Francesca and I chose pieces that show not only the landscapes of the Midwest, but also urban scenes and people just having fun. One painting depicts a traditional rendering of a barn, which is typical of what you'd see all over the American Midwest. But we also wanted to feature people, because that's where the region gets its strength. Because my wife grew up in the countryside, and I near the city of Chicago, where we now make our home together, we wanted a mix of urban and rural elements. We also showcase a contemporary quilt that combines both modern design and traditional techniques and patterns.

The Midwest is all about hard work, about putting your nose to the grindstone. It's the heartland of America, without the glitz and glamour of the coasts. Abraham Lincoln, Ronald Reagan, and Barack Obama all came from the Midwest. Just like a quilt, America is a collage of different people and cultures, traditional and modern, coming together to form something beautiful.

We hope that you enjoy experiencing *The Heart of America* exhibition, and that you will learn something new about America and its people. Francesca and I extend our sincere thanks to the artists who lent their work, and to our U.S. Department of State Art in Embassies curator Claire D'Alba for guiding us.

Ambassador Ian C. Kelly and Mrs. Francesca Kelly

*Tbilisi
June 2016*

ამერიკის გული

ამ ნახატების, ფოტოგრაფიებისა და კილტების (დალიანდაგებული საბანი) ეს კრებული ჩვენ ავირჩიეთ ამერიკის კულტურის, ხელოვნებისა და ღირებულებების წარმოსადგენად. მსურდა გადმომეცა, რას ნიშნავს ჩემთვის ამერიკა და ის ღირებულებები, რომელიც ჩემი ოჯახის საფუძველს ქმნის. მე ჩიკაგოდან ვარ და ამერიკის შუა დასავლეთში მოგზაურობისას ვგრძნობდი, რამდენად ლამაზია ქვეყნის ეს ნაწილი, რომლის შესახებ ბევრმა ცოტა რამ იცის.

ჩემმა მეუღლემ ფრანჩესკამ და მე შევარჩიეთ ისეთი ნიმუშები, რომელიც წარმოგვიდგენს არა მხოლოდ შუა დასავლეთის პეიზაჟებს, არამედ ურბანულ სიუჟეტებს და ადამიანებს, რომლებიც უბრალოდ ერთობიან. ერთ-ერთი ნახატი ტრადიციულად ასახავს თავლას, რაც ამერიკის შუა დასავლეთში ტიპურად ყველგან გვხვდება. ჩვენ აგრეთვე გვსურდა წარმოგვედგინა ადამიანები, რადგან ზუსტად მათშია ამ რეგიონის სიძლიერე. ვინაიდან ჩემი მეუღლე სასოფლო დასახლებაში გაიზარდა, ხოლო მე კი ჩიკაგოსთან ახლოს, სადაც შემდეგ ერთად ოჯახი დავაფუძნეთ, გვინდოდა ურბანული და სასოფლო ელემენტების ნაკრები წარმოგვედგინა. წარმოდგენილი გვაქვს აგრეთვე კილტი, რომელშიც თანამედროვე დიზაინი ერწყმის ტრადიციულ ტექნიკასა და მოხატვას.

ამერიკის შუა დასავლეთი ასოცირდება მძიმე შრომასთან, თავაულებლად მუშაობასთან. ეს რეგიონი ამერიკის გულია, სანაპიროების ბრწყინვალეებისა და მომხიბვლელობის გარეშე. აბრაამ ლინკოლნი, რონალდ რეიგანი და ბარაკ ობამა - ყველანი შუა დასავლეთიდან არიან. კილტივით, ამერიკა განსხვავებული ადამიანებისა და კულტურების, ტრადიციულისა და თანამედროვეს კოლაჟია, რაც ერთიანდება რაღაც მშვენიერის შესაქმნელად.

ვიმედოვნებთ, რომ ისიამოვნებთ ჩვენი გამოფენით „ამერიკის გული“ და შეიტყობთ რაღაც ახალს ამერიკისა და მისი ხალხის შესახებ. ფრანჩესკა და მე გულწრფელ მადლიერებას გამოვხატავთ იმ ხელოვანთა მიმართ, რომლებმაც გადმოგვცეს ნამუშევრები, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის „ხელოვნება საელჩოებში“ პროგრამის კურატორის კლერ დ'ალბას მიმართ, რომელმაც დახმარება გაგვიწია კომპოზიციების შერჩევისას.

ელჩი იან კელი და ქ-ნი ფრანჩესკა კელი

თბილისი
2016 წლის ივნისი

Rodger Bechtold (born 1945, Flint, Michigan)

“The Midwest is close to my heart; after all, it’s the place where I’ve lived all my life. The heartland possesses such uncomplicated and straightforward beauty. The simplicity of these ever changing vistas resonates with me the way music does.

Beginning a painting from the initial inspiration is one thing, but to carry that inspiration through an evolution of risk and change is quite another. The painting process continues until the painting stands alone and I feel it has something to say.

Taking ‘cues’ from nature, my color choices have become intuitive, a subconscious response to what I see. This is true too for my studio work, where there is more

latitude for experimentation and invention. The intention is to relate to the time and place, color relationships, abstraction, and brush work, and see this as the largest statement possible, contributing to the ongoing discourse of contemporary painting. I paint with an awareness of form and color that blurs the distinction between representation and abstraction.

Caught up in an ever-hyper-busy-world, we seem to be drifting away from something very precious, a bond with the land that’s ages old. My hope is that my painting might somehow rekindle an interest in what wonder surrounds us every day and yet goes unnoticed.”

www.rodgerbechtold.com

როჯერ ბექტოლდი (დ. 1945 წელს ფლინტში, მიჩიგანი)

„შუა დასავლეთი ჩემს გულთან ახლოს არის; ეს ხომ ის ადგილია, სადაც მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე. ქვეყნის ეს ცენტალური ნაწილი უბრალო და სწორხაზოვანი სილამაზის მატარებელია. ეს მუდამ ცვალებადი ხედების უბრალოება ისე ზემოქმედებს ჩემზე, როგორც მუსიკა.

ერთია, ხატვის დაწყება საწყისი შთაგონებიდან, მაგრამ ამ შთაგონების ტარება რისკისა და ცვლილების განვითარებისას საკმაოდ განსხვავებული რამაა. ხატვის პროცესი გრძელდება, ვიდრე ნახატი თვითმყოფადია, და ვგრძნობ, რომ იგი რაღაცის მოქმედი.

ვიღებ „კარნახს“ ბუნებიდან, ჩემი ფერთა არჩევანი გახდა ინტუიციური, ეს ქვეცნობიერი პასუხია იმაზე, რასაც ვხედავ. ეს სახელოსნოში ჩემს მუშაობასაც ეხება, სადაც უფრო ფართო არეალია

ექსპერიმენტისა და გამოგონებისთვის. ჩანაფიქრია დაკავშირება დროსა და ადგილთან, ფერთა შერწყმასთან, აბსტრაქციასთან და ფერწერის სტილთან; ამის დანახვა, როგორც მაქსიმალურად დიდი განაცხადის, რომელსაც წვლილი შეაქვს თანამედროვე მხატვრობის მიმდინარე მსჯელობაში. ვხატავ ფორმისა და ფერის გაცნობიერებით, რომელიც ბუნდოვანს ხდის განსხვავებას გამოხატვასა და აბსტრაქციას შორის.

ვიმყოფებით რა მუდამ ჰიპერდატვირთულ სამყაროში, თითქოს დინება გვაშორებს რაღაც ძალიან ძვირფასს, მიწასთან საუკუნოვან კავშირს. იმედი მაქვს, რომ ჩემი მხატვრობა რაღაცნაირად შეძლებს ინტერესის გაღვივებას იმ საოცრებისადმი, რომელიც ყოველდღიურად ჩვენს გარშემოა და მაინც შუუუმჩნეველი რჩება.“

www.rodgerbechtold.com



Halloween Eve, 2014. Oil on linen, 48 x 48 in. Courtesy of the artist, Bull Valley, Illinois
ჰელოუინის წინა დღე, 2014 წ. ზეთი, სელის ტილო, 121,9 x 121,9 სმ. ავტორის საკუთრება, ბულ ველი, ილინოისი

Meg Callahan (born 1988, Edmond, Oklahoma)

Raised in the great state of Oklahoma, Meg Callahan went on to study at the Rhode Island School of Design (Providence) where she discovered her interest in the value of the handmade in contemporary life, as well as the importance of a freshly sharpened pencil. Callahan

founded M. Callahan Studio in 2012 to create work centered on creating objects that focus on the beauty and complexity of construction.

<http://megcallahan.com/>

მეგ კალაჰანი (დ. 1988 წელს ედმონდში, ოკლაჰომა)

მეგ კალაჰანი გაიზარდა დიად შტატ ოკლაჰომაში. სწავლა როუდ აილენდის (პროვიდენსი) დიზაინის სკოლაში განაგრძო, სადაც აღმოაჩინა მისი ინტერესი თანამედროვე ცხოვრებაში ხელით ნაკეთობის ღირებულებასა და აგრეთვე ახლად გათლილი ფანქრის მნიშვნელობაში. 2012 წელს კალაჰანმა დაარსა „მ. კალაჰანის სახელსწრე“,

რომ საგნების შექმნაზე კონცენტრირებული ნამუშევრები შეექმნა განსაკუთრებული ყურადღებით კონსტრუქციის სილამაზესა და სირთულეზე.

<http://megcallahan.com/>

Caddo, 2012

Cotton fabric, cotton batting,
and poly blend thread, 72 x 90 in.
Courtesy of the artist, Seattle, Washington

კადო, 2012 წ.

ბამბის ქსოვილი, ბამბის ვატინი და
პოლიესტერნარევი ძაფი,
182,9 x 228,6 სმ
ავტორის საკუთრება, სიეტლი, ვაშინგტონი



Barbara Crane (born 1928, Chicago, Illinois)

Barbara Crane was born in Chicago. She studied art history at Mills College in Oakland, California, (1945-48), completing her Bachelor of Arts degree at New York University in 1950. Crane did professional portrait photography in New York in the late 1940s, until moving back to Chicago in 1952. In 1960 she returned to portrait photography when her youngest child entered pre-school, and continued until she enrolled in the Institute of Design at the Illinois Institute of Technology, where she earned her Masters of Science degree.

Crane works in many formats and materials with a range exploring sequential imagery, intimate platinum prints to large Polaroids, silver gelatin prints, and precise digital imagery. Her exhibitions include six retrospectives, over seventy-five, one-person exhibitions since 1966, and more than 200 group exhibitions since 1965. Crane is currently professor emeritus in photography at the School of the Art Institute of Chicago where she has taught since 1967.


www.barbaracrane.net

ბარბარა კრეინი (დ. 1928 წელს ჩიკაგოში, ილინოისი)

ბარბარა კრეინი დაიბადა ჩიკაგოში. ხელოვნების ისტორიას იგი სწავლობდა მილზ კოლეჯში, ოკლანდში, კალიფორნიის შტატში (1945-48 წლებში), ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში 1950 წელს. კრეინი პროფესიონალურ ფოტოპორტრეტებზე მუშაობდა ნიუ-იორკში 1940-იანი წლების ბოლოდან ჩიკაგოში დაბრუნებამდე 1952 წელს. 1960 წელს, როდესაც უმცროსი შვილი საბავშვო ბაღში შეიყვანა, იგი კვლავ დაუბრუნდა პორტრეტულ ფოტოგრაფიას, და აგრძელებდა ამ სფეროში მოღვაწეობას, იქამდე ვიდრე ჩაირიცხებოდა ილინოისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, ფოტოგრაფიის სამაგისტრო კურსზე, დიზაინის ინსტიტუტში,

სადაც მოიპოვა მაგისტრის ხარისხი. კრეინი მუშაობს სხვადასხვა ფორმატში, განსხვავებული მასალით; მისი კვლევის დიაპაზონი მოიცავს თანმიმდევრობით გამოსახულებას, პლატინის ნაბეჭდს, დიდი „პოლაროიდის“ ფირს, ვერცხლის ფირსა და ზუსტ ციფრულ გამოსახულებას. მისი გამოცდილება მოიცავს ექვს რეტროსპექტივას, სამოცდათხუთმეტზე მეტ პერსონალურ გამოფენას 1966 წლიდან და 200-ზე მეტ ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობას 1965 წლიდან. ამჟამად კრეინი ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტის სკოლის საპატიო პროფესორია ფოტოგრაფიაში, სადაც იგი ასწავლის 1967 წლიდან.

www.barbaracrane.net



Urban Anomalies: Chicago, 2002
Archival pigment prints, 13 x 19 in. each
Courtesy of the artist, Chicago, Illinois

ურბანული ანომალიები: ჩიკაგო, 2002 წ.
საარქივო ფოტოქაღალდის პიგმენტი, 33 x 48,3 სმ
ავტორის საკუთრება, ჩიკაგო, ილინოისი

Sue Johnson (born 1957, San Francisco, California)

Sue Johnson's work has been shown nationally and internationally. Born in San Francisco, California, she currently lives and works in Richmond, Virginia, and St. Mary's City, Maryland. Johnson earned a Bachelor of Fine Arts degree in painting from Syracuse University (New York), and a Master of Fine Arts degree in painting from Columbia University (New York City), and studied painting in London, England, and Florence, Italy, with Syracuse University.

Johnson's work is grounded in the genre of the still life and vanitas, and explores the role of the artist in creating new knowledge, and the history of collections and collectors as she often works collaboratively with museums, libraries, and private collections to develop

site-specific exhibition projects. Her most recent project, *American Dreamscape*, is based on the continuing narrative of the American Dream as expressed in designs for the ideal home, and in particular, the post-World War II suburban, single-family home – and its miniature manifestation, the modern dollhouse. Since 1995, she has created work under the rubric of *The Alternate Encyclopedia*, which serves as a conceptual umbrella for a diverse series of projects that focus on the works of literary figures, such as Lewis Carroll and Marianne Moore, New World exploration, and the intersection of art, science, and popular culture.

<http://suejohnson1.com/>

სიუ ჯონსონი (დ. 1957 წელს სან ფრანცისკოში, კალიფორნია)

სიუ ჯონსონის ნამუშევრები მონაწილეობს გამოფენებში როგორც ამერიკაში, აგრეთვე უცხოეთში. იგი დაიბადა სან ფრანცისკოში, კალიფორნია, ხოლო ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს რიჩმონდში, ვირჯინია, და სენტ მერის სიტიში, მერილენდი. ჯონსონს მიენიჭა სირაკუზის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) ბაკალავრის ხარისხი სახვით ხელოვნებაში ხატვის განხრით და შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) მაგისტრის ხარისხი სახვით ხელოვნებაში ხატვის განხრით; სირაკუზის უნივერსიტეტში სტუდენტობისას იგი ხატვას ეუფლებოდა ლონდონში, ინგლისი, და ფლორენციაში, იტალია,

ჯონსონის შემოქმედება ეფუძნება ნატურმორტის და ვანიტასის ჟანრს, იკვლევს მხატვრის როლს ახალი ცოდნის შექმნაში, კოლექციებისა და კოლექციონერების ისტორიას, რადგან იგი ხშირად თანამშრომლობს მუზეუმებთან,

ბიბლიოთეკებთან და კერძო კოლექციების მფლობელებთან კონკრეტული სივრცისთვის საგამოფენო პროექტების შესაქმნელად. მისი უკანასკნელი პროექტი „ამერიკული ოცნების პეიზაჟი“ დაფუძნებულია ამერიკული ოცნების განგრძობით ნარატივზე, რომელიც გამოხატულია იდეალური სახლის დიზაინში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გარეუბნის სახლსა და მის მინიატურულ ასახვაში - თანამედროვე თოჯინის სახლში. 1995 წლიდან იგი ქმნის ნამუშევრებს „ალტერნატიული ენციკლოპედიის“ სათაურით, რომელიც წარმოადგენს მრავალფეროვანი პროექტების სერიის კონცეპტუალურ ქოლგას კონცენტრაციით ისეთი ლიტერატორების შემოქმედებაზე, როგორებიც არიან ლუის კეროლი და მერიან მური, ახალი სამყაროს შესწავლაზე, ხელოვნების, მეცნიერებისა და პოპ-კულტურის გადაკვეთაზე.

<http://suejohnson1.com/>



Stop Volunteer Corn, 1987
 Acrylic on linoleum, 24 x 24 in.
 Courtesy of the artist, Richmond, Virginia


შეწყვიტეთ უფასო სიმინდი, 1987 წ.
 აკრილი, ლინოლეუმი, 61 x 61 სმ.
 ავტორის საკუთრება, რიჩმონდი, ვირჯინია

Some of the Places I've Lived, 1984
 Acrylic on linoleum floor tiles, 24 x 48 in.
 Courtesy of the artist, Richmond, Virginia

ზოგიერთი ადგილი, სადაც ვცხოვრობდი, 1984 წ.
 აკრილი, ლინოლეუმი, იატაკის ფილები, 61 x 121,9 სმ
 ავტორის საკუთრება, რიჩმონდი, ვირჯინია



Sue Johnson
სიუ ჯონსონი





Edge of Town, 2007
Handpainted gouache and archival inkjet print, 16 x 48 in.
Courtesy of the artist, Richmond, Virginia

ქალაქის ზღვარი, 2007 წ.
ხელით შესრულებული გუაშში, საარქივო მელანი, პრინტი, 40,6 x 121,9 სმ
ავტორის საკუთრება, რიჩმონდი, ვირჯინია

Julia Katz (born 1956, Indianapolis, Indiana)

“After years of painting the figure from models posed in a studio environment, I began working with a theme of ‘the figure in motion’ in 2006. My interest in that theme evolved over time, shifting toward the interaction of a moving figure with its environment. The beach is a great place for me to photograph people who are interacting with nature in a relaxed and natural manner. I use these photographs as a visual reference for my paintings. The painting, *Chilly Water*, is derived from a photo that I took along the shore of Lake Michigan in downtown Chicago [Illinois], not far from the suburb where I live.

Many of my paintings are from photos that are taken at beaches that are near my son’s home in Los Angeles, California. People, water, wind, and clouds are all in motion at the beach. Movement is felt in the painting not only in the poses of the figures but also through the gestural application of bold marks and color splotches that make up the watery environment. This painterly approach echoes the subject matter, giving the work vibrancy and energetic life”.

juliakatzart.com

ჯულია კაცი (დ. 1956 წელს, ინდიანაპოლისში, ინდიანა)

“წლების განმავლობაში სახელსნოს გარემოში მოდელებიდან ფიგურის ხატვის შემდეგ, 2006 წელს დავიწყე მუშაობა თემაზე „ფიგურა მოძრაობაში“. ჩემი ინტერესი ამ თემისადმი დროთა განმავლობაში გავითარდა და გადაიხარა მოძრავი ფიგურის მის გარემოსთან ურთიერთმოქმედებისკენ. პლაჟი შესანიშნავი ადგილია ჩემთვის ადამიანის ბუნებასთან უშუალო და ბუნებრივი ფორმით ურთიერთმოქმედების გადასაღებად. ამ ფოტოგრაფიებს ჩემს ნახატებში ვიზუალურ ორიენტირად ვიყენებ. ნახატი ცივ წყალში შექმნილია ფოტოგრაფიის საფუძველზე, რომელიც მიჩიგანის ტბის სანაპიროზე ჩიკაგოს [ილინოისის შტატი] ცენტრში გადავიღე, არც

ისე შორს იმ დასახლებიდან, სადაც ვცხოვრობ. ბევრი ჩემი ნახატი პლაჟზე გადაღებული იმ ფოტოგრაფიებიდანაა შესრულებული, რომელსაც ჩემი ვაჟის სახლთან ახლოს ვიღებ ლოს ანჯელესში, კალიფორნია. ხალხი, წყალი, ქარი და ღრუბლები - ყველაფერი მოძრაობაშია პლაჟზე. მოძრაობა იგრძნობა ნახატებში არა მხოლოდ ფიგურების პოზებში, არამედ მსხვილი შტრიხებისა და ფერების მონასმის შესტიკულაციურ გამოყენებაშიც, რაც წყლიან გარემოს ქმნის. ეს მხატვრული მიდგომა საგნის მატერიის გამოძახილია და ნამუშევარს დინამიზმსა და ენერგეტიკას აძლევს”.

juliakatzart.com



Chilly Water, 2009

Oil on panel, 48 x 60 in. Courtesy of the artist, Deerfield, Illinois

გიგ წყალში, 2009 წ.

ზეთი, მუყაო, 121,9 x 152,4 სმ. ავტორის საკუთრება, დეარფილდი, ილინოისი

Terry Miura (born 1964, Sendai, Japan)

After graduating from Art Center College of Design (Pasadena, California) in 1990, Terry Miura headed to New York City to pay his dues. There he spent six years working as a freelance illustrator, creating imagery for such clients as *Time*, *Newsweek*, *Sports Illustrated*, *Random House*, and *GRP Records*, just to name a few. In between illustration deadlines, Miura painted his beloved New York City, and began a career as a painter by showing his work in neighborhood cafes, hair salons, and juried shows. Before long one of his cityscapes was noticed by a gallery owner, and he had his first ‘real’ show in 1995.

After returning to the West Coast in 1996, Miura established his studio in the Sacramento area, and transitioned to becoming a full-time painter. During this period, he turned his attention to the art of landscape painting, working directly from nature to study the perception of visual reality, and how it might translate into individual expression. “I’m interested in understanding the language of landscape painting, so that I can use it to explore the mysteries of emotions, memories, and identity.” To that end, Miura does not

limit himself to painting traditional landscapes. “I’m looking for subtle emotional responses,” he explains, “not just from trees and rivers, but buildings, people, atmosphere, light . . . any subject can trigger an emotional response. I’m perpetually trying to figure out what that trigger is.”

In recent years Miura’s pursuit has found expression in abstraction. “I start with the literal and the logical, but then I let intuition take over. It’s always a precarious balance between a logical representation of the visual world, and a visceral response to the abstract quality of the paint itself. Too much logic and it remains predictable and boring. Too much abstraction and it devolves into sloppy chaos. Poetry exists in the balance.”

Miura’s works are found in private and public collections, including pieces in the permanent collection at the Crocker Art Museum (Sacramento, California), California Museum of Fine Art (Torrance), and the Smithsonian Institution (Washington, D.C.).

www.terrymiura.com

ტერი მიურა (დ. 1964 წელს სენდაიში, იაპონია)

1990 წელს ხელოვნების ცენტრის დიზაინის კოლეჯის (პასადენა, კალიფორნია) დამთავრების შემდეგ, ტერი მიურა წარმატების მიეზაში სირთულეების გასაგლეხად ნიუ-იორკში გაემურა, სადაც ექვსი წელი დაჰყო და შტატგარეშე ილუსტრატორად მუშაობდა ისეთი გამოცემებისთვის, როგორცაა *Time*, *Newsweek*, *Sports Illustrated*, *Random House*, *GRP Records* და სხვ. ილუსტრაციების პროექტებს შორის მიურა მის საყვარელ ნიუ-იორკს ხატავდა და მხატვრის კარიერა დაიწყო უზნის კავებში, სალონებსა და კონკურსებში ნამუშევრების წარმოდგენით,

ვიდრე 1995 წელს მისი ქალაქის პეიზაჟები არ შეამჩნია ერთ-ერთი გალერეის მეპატრონემ და მას პირველი „ნამდვილი“ გამოფენა შესთავაზა.

დასავლეთ სანაპიროზე 1996 წელს დაბრუნების შემდეგ, მიურამ სახელოსნო საკრამენტოსთან ახლოს გაიკეთა და მხოლოდ ფერწერაზე გადაერთო. ამ პერიოდში მისი ყურადღება მიიპყრო პეიზაჟების ხატვის ხელოვნებამ; იგი უშუალოდ ბუნებიდან ხატავდა ვიზუალური რეალობის აღქმისა და ინდივიდუალურ გამოხატვაში მისი გადაყვანის შესასწავლად.



Last Days of Summer, 2015
Oil on linen, 12 x 24 in. Courtesy of the artist, Fair Oak, California

ზაფხულის უკანასკნელი დღეები, 2015 წ.
ზეთი, სელის ტილო, 30,5 x 61 სმ. ავტორის საკუთრება, ფერ ოუკი, კალიფორნია

„მაინტერესებს პეიზაჟების ხატვის ენის გაგება, რომ შემდეგ შევძლო ემოციების, მოგონებებისა და იდენტურობის საიდუმლოს გამოკვლევა.“
ამ მიზნის მისაღწევად, მიურა არ იზღუდება მხოლოდ ტრადიციული პეიზაჟების შექმნით. „ვეძებ შეუმჩნეველ ემოციურ რეაქციებს,“ განმარტავს იგი. „არა მხოლოდ ხეებსა და მდინარეებში, არამედ ნაგებობებში, ხალხში, ატმოსფეროში, შუქში... ნებისმიერ საგანს შეუძლია ემოციური რეაქციის გამომწვევი გახდეს. მუდმივად ვცდილობ, ეს გამომწვევი ვიპოვნო.“

უკანასკნელ წლებში მიურას ძიებამ გამოხატვა ჰპოვა აბსტრაქციაში. „ვიწყებ პირდაპირითა და ლოგიკურით, მაგრამ შემდეგ ინტუიციას დაუფლების გასაქანს ვაძლევ. მუდამ

არასაიმედო ბალანსია ვიზუალური სამყაროს ლოგიკურ წარმოსახვასა და თავად საღებავის აბსტრაქციული თვისების შინაგან რეაქციას შორის. ზედმეტი მოგივა ლოგიკა და იგი წინასწარ განსჭვრეტადი და მოსაწყენი დარჩება. ზედმეტი მოგივა აბსტრაქცია და ჭყაპიან ქაოსში გადავა. პოეზია ბალანსში არსებობს.“

მიურას ნამუშევრები ინახება კერძო და საჯარო კოლექციებში, მათ შორის ზოგიერთი ნიმუში კროკერის ხელოვნების მუზეუმის (საკრამენტო, კალიფორნია), სახვითი ხელოვნების კალიფორნიის მუზეუმის (ტორენსი) და სმიტსონის ინსტიტუტის (ქ. ვაშინგტონი) მუდმივი კოლექციის ნაწილია.

www.terrymiura.com

Miriam Rudolph (born 1983, Paraguay, South America)

“I am a printmaker and I work mostly with multiple plate copper etchings. My prints are visual diaries that narrate my experiences and perceptions of places, after living in Paraguay, Canada, and the USA. It is important for me to experience my surroundings very consciously, to be aware of details and to render the essence of a place in my artwork. Beneath the narrative of memories and perceptions lies the concept of my search for belonging that I experience after moving from Paraguay. My work shows places that I feel connected to and

serves to document, to evaluate, and to remember. I use a mapping method which has a lot of symbolic meaning for the search of belonging, because maps facilitate searching, wayfinding and revisiting. My work is both about the physical as well as the psychological and emotional experience of a place, exploring concepts of home and belonging, farewell and new beginnings, holding on and letting go.”

www.miriamrudolph.com

მირიამ რუდოლფი (დ. 1983 წელს პარაგვაიში, სამხრეთ ამერიკა)

„მე ნაბეჭდებს ვაკეთებ და ძირითადად სპილენძის ფირფიტის გრავიურებზე ვმუშაობ. ჩემი ნაბეჭდები ვიზუალური დღიურის სახით გადმოსცემს იმ ადგილებში მიღებულ გამოცდილებასა და აღქმას, სადაც ვცხოვრობდი პარაგვაიში, კანადასა და აშშ-ში. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ჩემი გარემო გააზრებულად შევიგრძნო, გავერკვე დეტალებში და გადმოვცე ამ ადგილის არსი ჩემს ხელოვნებაში. მოგონებებისა და აღქმის ნარატივის ქვეშ მიკუთვნების ჩემი ძიების კონცეფციაა, რომელსაც პარაგვაის დატოვების შემდეგ ვიკვლევ. ჩემი ნამუშევრები ასახავს იმ ადგილებს, რომელთანაც კავშირს

ვგრძნობ, და ემსახურება დოკუმენტირებას, შეფასებასა და დამახსოვრებას. რუკით ასახვის მეთოდს ვიყენებ, რასაც არაერთი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მიკუთვნების ძიებაში, რადგან რუკები ხელს გვიწყობს ძიებაში, გზის გაკვლევასა და ნამყოფ ადგილას გონებრივ დაბრუნებაში. ჩემი ნამუშევრები უკავშირდება ადგილის როგორც ფიზიკურ, აგრეთვე ფსიქოლოგიურ და ემოციურ გამოცდილებას, სახლისა და მიკუთვნების კონცეფციის კვლევას, დამშვიდობებას და ახალ დასაწყისს, ჩაჭიდებას და გაშვებას.“

www.miriamrudolph.com



My Minneapolis, 2014

Doubleplate color etching, relief roll through stencil, 24 x 36 in.

Courtesy of the artist, Edmonton, Canada

Photo by Bruce Silcox

ჩემი მინეაპოლისი, 2014 წ.

ფერადი გრავიურა რელიეფური შაბლონით, 61 x 91,4 სმ

ავტორის საკუთრება, ედმონტონი, კანადა

ბრუს სილკოქსის ფოტოგრაფია

Laura Sanders (born 1966, Detroit, Michigan)

“The girls in my paintings are an uneasy mix of potential victim, pernicious consumer and reminiscences of the traditional feminine personification of nature. Joining the genres of figurative and landscape painting, I see the figure as both natural and invasive to the landscape. The human body, defined and distorted by sun, water,

firelight and the surrounding environment, coexists with the glare of manmade materials littering the natural world. I paint directly, wet on wet, using the materiality of the paint to sculpt flesh and bones, flora and fauna.”

laurasandersart.com

ლორა სანდერსი (დ. 1966 წელს დეტროიტში, მიჩიგანი)

„გოგონები ჩემს ნახატში პოტენციური მსხვერპლის, მავნე მომხამრებლისა და ბუნების ტრადიციული ქალური განსახიერების მოგონებების უხერხული ნაზავია. ფიგურატიული და პეიზაჟური მხატვრობის ჟანრში გადასვლისას, ფიგურას პეიზაჟში ვხედავ როგორც ბუნებრივ, ასევე ინვაზიურ მოვლენად. მზის, წყლის, კოცონის შუქისა და გარშემო ბუნების მიერ გამოკვეთილი და გამრუდებული ადამიანის ტანი

თანაარსებობს ადამიანის მიერ შექმნილი ბუნების სამყაროს დამაბინძურებელი ნივთების კაშკაშთან. ვხატავ უშუალოდ, სისველე სისველეზე, საღებავის მატერიალურობის გამოყენებით ხორცისა და ძვლის, ფლორისა და ფაუნის გამოსაძერწად.“

laurasandersart.com



Consume, 2012

Oil on canvas, 21 x 34 in. Courtesy of the artist, Columbus, Ohio

მოხმარე, 2012 წ.

ზეთი, ტილო, 53,3 x 86,4 სმ. ავტორის საკუთრება, კოლამბუსი, ოჰაიო

James Young (born 1963, Newark, Ohio)

“My Work:

. . . is an interpretation of a rural view, meant to remind you of a simpler time, when satisfaction and happiness could be achieved with friends, family and hard work. Often the subjects are filtered and distilled to concentrate on these timeless themes, common throughout rural America. I interpret my subject through the manipulation of light and atmosphere.

Me?

I always knew, and I'm glad I didn't give it up for a day job. Like the subjects I paint, I too prefer simpler things. Paint brushes and tools take precedence over smart phones and downloads.”

<http://jamesyoungartist.com>

ჯეიმს იანგი (დ. 1963 წელს ნიუარკში, ოჰაიო)

„ჩემი ნამუშევარი:

... ინტერპრეტაციაა სასოფლო ხედის, რამაც უფრო მარტივი დრო უნდა გაგახსენოთ, როცა კმაყოფილება და ბედნიერება მიიღწეოდა მეგობრებით, ოჯახითა და დაუღალავი შრომით. ხშირად საგანი გაფილტრული და გამობდილია ამ სამარადისო თემებზე კონცენტრაციისთვის, რაც ყოფითია ამერიკის სოფლად. ჩემს საგანს ინტერპრეტაციას ვუკეთებ შუქისა და ატმოსფეროს მანიპულირებით.

მე?

მუდამ ვიცოდი და მიხარია, რომ არ დავანებე თავი ჩვეულებრივი სამუშაოს სანაცვლოდ. ჩემ მიერ დახატული საგნებივით, მეც სიმარტივე მიჩვევნი. სმარტფონებსა და ჩამოტვირთვებზე წინ დგას სახატავი ფუნჯები და ხელსაწყოები.“

<http://jamesyoungartist.com>



Yesterday's Dream, 2015

Oil on canvas, 25 x 31 in. Courtesy of the artist, Granville, Ohio

გუშინდელი ოცნება, 2015 წ.

ზეთი, ტილო, 63.5 x 78.7 სმ. ავტორის საკუთრება, გრენვილი, ოჰაიო

Acknowledgments

Washington, D.C.

Claire D'Alba, Curator
Jonathan Arbolino, Registrar
Marcia Mayo, Senior Editor
Sally Mansfield, Editor
Tabitha Brackens, Publications Project Coordinator
Amanda Brooks, Imaging Manager

Tbilisi

Damian Wampler, Cultural Affairs Officer
Tako Rtveliashvili, Cultural Program Coordinator
Ketevan Ghoghoberidze, Administrative Assistant
And special thanks to the entire GSO and FMS staff of Embassy Tbilisi

Vienna

Nathalie Mayer, Graphic Design

მადლიერებას გამოვხატავთ

ქ. ვაშინგტონი

კლერ დ'ალბა, კურატორი
ჯონათან არბოლინო, რეგისტრატორი
მარსია მაიო, უფროსი რედაქტორი
სალი მენსფილდი, რედაქტორი
ტაბითა ბრეკენსი, გამოცემების პროექტის კოორდინატორი
ამანდა ბრუკსი, ვიზუალიზაციის მენეჯერი

თბილისი

დამიან უომპლერი, კულტურის ატაშე
თაკო რთველიაშვილი, კულტურული პროგრამების კოორდინატორი
ქეთევან ლოლობერიძე, საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების
ადმინისტრაციული ასისტენტი
და განსაკუთრებული მადლობა საქართველოში აშშ-ის საელჩოს
გენერალური სერვისების ოფისისა და ობიექტების მართვის განყოფილების
ყველა თანამშრომელს.

ვენა

ნატალი მეიერი, გრაფიკული დიზაინერი

Designed, printed and produced by Global Publishing Solutions



<http://art.state.gov/>

Published by Art in Embassies | U.S. Department of State, Washington, D.C. | November 2016